- ჩართეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში, ამისათვის: მოკლე დროით (1-2 წამით) დააწეეთ ღილაკი **“RESET”** (ფოტო 1), ინვერტორის წინა პანელზე. ინვერტორმა უნდა დაიწიპინოს და გამწვანდეს ნათურა - **SYSTEM ON**.
- თუ აკუმულატორები საკმარისად არის დამუხტული (არ ციმციმებს ნათურა **BATT**), ჩართდება ნათურა **INV ON** (ფოტო 1).

თუ შიდა ქსელს დენი მაინც არ მიეწოდება, შესაბამისი მიზეზების დასადგენად და მათ გადასაჭრელად იხილეთ შემდეგი გვერდები:



7

პრობლემების აღწერა და მათი გადაჭრის გზები

1. სახლის შიდა ქსელს არ მიეწოდება ელექტროენერჯია:

1.1 ჩამქრალია ინვერტორის ევრანი და მწვანე ნათურა SYSTEM ON (ფოტო 1) - ინვერტორი გამორთულია. შეამოწმეთ აკუმულატორის დამცველი: თუ არის ქვედა (**OFF**) მდგომარეობაში გადაიყვანეთ ზედა (**ON**) მდგომარეობაში. თუ ყველაფერი წესრიგშია, უნდა აინთოს ინვერტორის ევრანი - ინვერტორი გადავა „პასიურ“ რეჟიმში. თუ წითელი ნათურები არ ანთია გადაიყვანეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში.

1.2 ევრანი ჩამქრალია, ან ირთება - ქვრება (ფოტო 1) და აკუმულატორის დამცველი ზედა (**ON**) მდგომარეობაშია (ფოტო 2) - სავარაუდოდ აკუმულატორები არის სრულად განმუხტული. საჭიროა მათი დამუხტვა. როცა ინვერტორი ვერ ირთება „პასიურ“ რეჟიმში, ის ვერ დამუხტავს აკუმულატორს, ვერც მზის პანელებით და ვერც გარე გენერატორის გამოყენებით. ასევე შეიძლება დაზიანებული იყოს ინვერტორი. **დარეკეთ სერვის ცენტრის ცხელი ხაზის ნომერზე!**


1.3 ჩამქრალია მწვანე ნათურა SYSTEM ON, ევრანი ანთია, წითელი ნათურები არ ანთია და არც ციმციმებს (ფოტო 1) - ინვერტორი არის „პასიურ“ რეჟიმში. გადაიყვანეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში ღილაკი **RESET**-ზე (ფოტო 1) 1-2 წამის განმალაპარაკებით თითის დაწოლით უნდა აინთოს ნათურა **SYSTEM ON**.

1.4 ციმციმებს წითელი ნათურა BATT (ფოტო 1) - განმუხტულია აკუმულატორები. დაელოდეთ აკუმულატორის დამუხტვას. თუ ანთია ნათურა **SYSTEM ON** (ინვერტორი არის „აქტიურ“ რეჟიმში), სასურველია აკუმულატორების დამუხტვამდე ინვერტორი გადაიყვანოთ „პასიურ“ რეჟიმში ღილაკზე **RESET** (ფოტო 1) 1-2 წამით თითის დაწოლით. **SYSTEM ON** უნდა ჩაქრეს.

თუ აკუმულატორები დაიმუხტა, პანელზე ძაბვა არის 48 ვოლტზე (ფოტო 3) მეტი და ნათურა **BATT** (ფოტო 1) მაინც ციმციმებს, გამორთეთ აკუმულატორების დამცველი, დაელოდეთ 10-15 წამი და ხელახლა ჩართეთ. 220 ვოლტის მისაღებად ინვერტორი გადაიყვანეთ „აქტიურ“ რეჟიმში (ღილაკით **RESET**). უნდა აინთოს ნათურა **INV, ON**.

მიაქციეთ ყურადღება რომ აკუმულატორების ძაბვა არ დაეცეს 42 ვოლტზე დაბლა.

1.5 ანთია მწვანე ნათურა SYSTEM ON, ანთია INV, ON, არ ანთია და არც ციმციმებს წითელი ნათურები (ფოტო 1) - სავარაუდოდ, ინვერტორი მუშაობს გამართულად და პრობლემა შიდა ქსელშია. შეამოწმეთ შიდა ქსელის დამცველი (როგორც წესი დამაგრებულია კედელზე), ან შიდა ქსელის გაყვანილობა. მიაქციეთ ყურადღება, რომ ინვერტორის უკანა მხარეს წითელი ფერის გადამრთველი („კვების გადამრთველი-ინვერტორი ან გარე წერტილი“) იყოს მარცხენა, „1“ მდგომარეობაში (ფოტო 2)!



8

2. მზის პანელები ვერ მუშავენ აკუმულატორებს:

2.1 მზის პანელები ვერ მუშავენ აკუმულატორებს - დღის განმავლობაში საერთოდ არ იწებება ნათურა SPV, CHG (ფოტო 1), მზე აქტიურ ფაზაში და მას პანელები არ იხრებიან. ინვერტორის ეკრანზე (ფოტო 1) შეამოწმეთ, **SOLAR** რეჟიმის მძვავი (ფოტო 4). თუ **SOLAR** მძვავი - ნულია (0), სავარაუდოდ დაზიანებულია პანელების გაყვანილობა, კონექტორები ან თვით პანელები.



თუ დაზიანებულია შავი ან წითელი „სოლარ“ კაბელი ან ამოვარდნილია მიერთების ადგილებიდან,

დაათვალიერეთ შავი და წითელი კაბელის ბოლოები ვიზუალურად და დარწმუნდით, რომ არ იყოს ამოვარდნილი ინვერტორის კონტაქტებიდან.

პრობლემა აქვს პანელის დამაკავშირებელ „კონექტორებს“. კონექტორის ჩახსნისას მიაქციეთ ყურადღება, რომ პლასტმასის შიგნით ლითონის კონტაქტები არ იყოს „ჩავარდნილი“.

პრობლემა აქვს პანელს: დაათვალიერეთ პანელი ხომ არ არის დაზიანებული. თუ დაზიანებას ვერ აღმოაჩენთ, შეიძლება დაზიანებული იყოს ინვერტორი. **დარეკეთ სერვის ცენტრის ცხელი ხაზის ნომერზე!**

2.2 დღის განმავლობაში პერიოდულად იწებება და ქვდება ნათურა SPV, CHG, ხშირად მერყეობს მძვავი SOLAR ეკრანზე (ფოტო 1).

სავარაუდოდ მზის პანელებს ეცემა ჩრდილი ან არასაკმარისი განათება. გაწმინდეთ პანელები (მოაცილეთ ჭუჭყი, მტვერი, ფოთლები, თოვლი და სხვა). ჩაჭერთ ხის ტოტები, რომლებიც ჩრდილავს მზეს. ტალახის ან/და მტვრის შემთხვევაში გადარეცხეთ პანელები წყლით და ჯობსზე დამაგრებული ნაჭრით, ფაქიზად გაწმინდეთ ისე, რომ არ დაზიანდეთ ზედაპირი! ფრთხილად გადმოყარეთ პანელზე დაყრილი თოვლი!

2.3 ნათურა SPV, CHG საერთოდ არ ირთება (ფოტო 1), ანათებს წითელი ნათურა ინვერტორის უკანა მხრიდან (ფოტო 2).

სავარაუდოდ არასწორად არის შეერთებული მზის პანელები. **დარეკეთ სერვის ცენტრის ცხელი ხაზის ნომერზე!**

2.4 დღის განმავლობაში აკუმულატორები იმუხტება, მცირე დროის განმავლობაში ანთია SPV, CHG მაგრამ მუხტს დიდხანს არ ყოფნის - მალე იწყებს ციმციმს ნათურა BATT (ფოტო 1).

მიზეზი 1: აკუმულატორებში მზის პანელებიდან მიღებული ენერჯია ნაკლებია ვიდრე მის მიერ შიდა ქსელში მიწოდებული ენერჯია. ამიტომ აკუმულატორი თანდათანობით განიმუხტება.

ა) შეეცადეთ მზის პანელებმა მიიღონ მაქსიმალურ განათება. გაითვალისწინეთ რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მზე მუხტდება არის აქტიურ ფაზაში, შესაბამისად მზის პანელები იღებენ ნაკლებ ენერჯიას. გაზაფხულის მეორე ნახევარსა და ზაფხულის პერიოდში მზიდან მიღებული ენერჯია მატულობს.

ბ) შეამოწმეთ ჩართული მოწყობილობების რაოდენობა და დრო. ასევე, ენერჯიის მოხმარებისას, გადაიყვანეთ ინვერტორი „პასიურ“ რეჟიმში. „პასიურ“ რეჟიმში ინვერტორი შიდა მიზნებისთვის მოიხმარს ბევრად ნაკლებ ენერჯიას ვიდრე „აქტიურ“ რეჟიმში.

მიზეზი 2: აკუმულატორი ვერ ინახავს საკმარის ენერჯიას - მისი ტევადობა შემცირებულია, ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

ა) აკუმულატორის ზედმეტად მაღალი ან დაბალი ტემპერატურა: შეეცადეთ აკუმულატორი მუდმივად გქონდეთ ოთახის ტემპერატურაზე (+20-25 გრადუსი).

ბ) აკუმულატორის დაზიანება: აკუმულატორი მალე რომ არ გამოვიდეს მწყობრიდან, შეეცადეთ ის არ განიმუხტოს ბოლომდე (ნახევარზე ნაკლებად). მიაქციეთ ყურადღება ინვერტორის ეკრანს (ფოტო 1), შეეცადეთ აკუმულატორების მძვავი 48 ვოლტზე დაბლა არ დაეცეს, ხოლო პანელზე აკუმულატორის გამოსახულება ნახევარს არ ჩამოცდეს (ფოტო 5).

იმ შემთხვევაში თუ აკუმულატორი ვერ ახერხებს მზის პანელებიდან კარგად დამუხტვას, დღის განმავლობაში, რეკომენდირებულია გარე გენერატორის დახმარებით დაიმუხტოს გამოყენება. არ შეაერთოთ გენერატორი დამოუკიდებლად, დარეკეთ სერვის ცენტრის ცხელი ხაზის ნომერზე!



3. ინვერტორი განუწყვეტლივ წრიაინებს / ინვერტორის პანელის ეკრანზე ანთია წითელი ნათურები (BATT, OVER, MAINS, FAULT, MPPT OVERHEAT) (ფოტო 1) - ინვერტორის წრიაინი მიუთითებს, რომ ინვერტორის პარამეტრები სვდება ნორმას, დაზიანება ან სხვა პრობლემაა.

3.1. ციმციმებს ნათურა BATT (ფოტო 1) - აკუმულატორები განიმუხტა, იხილეთ პუნქტი 1.4

3.2. ნათურა BATT (ფოტო 1) განუწყვეტლივ ანთია - აკუმულატორების მძვავი ნორმაზე მაღალია. გამოითეთ ინვერტორის „აკუმულატორის დამცველი“ (ფოტო 2), დარეკეთ სერვის ცენტრის ცხელი ხაზის ნომერზე!

3.3. ციმციმებს ნათურა OVER (ფოტო 1) - ინვერტორი გადახურებულია. სათავსოში მაღალი ტემპერატურაა, გაანთავსოთ სათავსო.

3.4. ნათურა OVER მუდმივად ანთია (ფოტო 1) - სისტემა გადატვირთულია. გაითმეთ ჩართული მოწყობილობების ნაწილი რომ შეამციროთ დატვირთვა.

3.5 ანთია ნათურა FAULT (ფოტო 1) - მოკლე ჩართვა ან სხვა პრობლემა: მოკლე ჩართვის დროს ინვერტორი წვეცტს ძაბვის მიწოდებას და პანელზე ინთება ნათურა FAULT. თუ მოკლე ჩართვის მიზეზი აღმოფხვრილია, ინვერტორი მუშაობას აღადგენს 10 წამის შემდეგ. თუ ამ დროის განმავლობაში მოკლე ჩართვა ისევ არსებობს, მაშინ ინვერტორის მუშაობა არ განახლდება.

ასეთ შემთხვევაში მიყევით შემდეგ ინსტრუქციას:

- 1) გამორთეთ შიდა ქსელის დამცველი;
 - 2) გადაიყვანეთ ინვერტორი „პასიურ“ რეჟიმში - დილაკზე RESET 1-2 წამით თითის დაწოლით. თუ ნათურა FAULT არ ჩაქრა, გათიშეთ ინვერტორის აკუმულატორების დამცველი (ფოტო 2);
 - 3) დაელოდეთ რამდენიმე წამი, ინვერტორის ეკრანის ჩაქრობას და ხელახლა ჩართეთ. თუ ნათურა FAULT ჩაქრა, დილაკი RESET-ით გადაიყვანეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში (დააწეხით დილაკ RESET 1-2 წამით);
 - 4) თუ შიდა ქსელის გათიშვის მიუხედავად FAULT ისევ ანთია, სავარაუდოდ ინვერტორი დაზიანდა. **დარეკეთ სერვის ცენტრის ცხელი ხაზის ნომერზე!**
 - 5) თუ FAULT ჩამქრალია, უსაფრთხოებისთვის გადაიყვანეთ ინვერტორი „პასიურ“ რეჟიმში (SYSTEM ON უნდა ჩაქრეს) . იპოვეთ შიდა ქსელში მოკლე ჩართვის მიზეზი და შეაკეთეთ;
 - 6) ჩართეთ შიდა ქსელის დამცველი და გადაიყვანეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში.
 - 7) **3.6 MPPT Overheat (ფოტო 1)**- აკუმულატორების დამტენი გადახურდა - **დარეკეთ სერვის ცენტრის ცხელი ხაზის ნომერზე!**
- 3.7 სისტემა არ მუშაობს - ეკრანზე წერია EQUALOZE MODE (ფოტო 1).** - 5-6 წამის განმავლობაში დააწეხით დილაკს RESET

გთხოვთ გაითვალისწინოთ!

- 4 ცალი პანელი, ჯამში გამოიმუშავებს მაღალ ძაბვას (200 ვოლტს). მიაქციეთ ყურადღება, რომ პანელებიდან მომავალი კაბელი არ დაზიანდეს და მასთან ვინმეს არ ჰქონდეს წვდომა; **მოერიდეთ კაბელებს!**
- თუ მზის პანელებიდან გამომავალი ელექტრო სადენები მოწყდა, სასწრაფოდ გათიშეთ მზის პანელები სადენიდან კონექტორების მეშვეობით!
- მზის პანელები არ გამოიმუშავებენ დენს თუ მას რამე ჩრდილავს ან მასზე დევს ნებისმიერი ნივთები, ტოტები, ფოთლები, მტერი ტალახი ან თოვლი. ტალახის ან/და მტერის შემთხვევაში გადარეცხეთ პანელები წყლით და ჯობზე დამაგრებული ნაჭრით, ფაქიზად გაწმინდეთ ისე რომ არ დააზიანოთ ზედაპირი! ფაქიზად გადმოყარეთ პანელზე დაყრილი თოვლი!
- მიაქციეთ ყურადღება, რომ რკინის კონსტრუქციას არ მოძერეს და არ დაზიანდეს დამიწების ლურჯი კაბელი! ინვერტორი და სისტემა უნდა იყოს დამიწებული!
- დამოუკიდებლად არ ახსნათ ლუქი ყუთის და არ სცადოთ ინვერტორის შეერთების შეცვლა ან ინვერტორის დაშლა! ასევე, არ სცადოთ ინვერტორის კონფიგურაციის დამოუკიდებლად შეცვლა. **გაითვალისწინეთ, რომ ორივე შემთხვევაში გარანტიის მოქმედება შეწყდება!**
- შეეცადეთ რომ აკუმულატორების ძაბვა მერყეობდეს 48 - 51.5 ვოლტის ფარგლებში.
- ინვერტორი უნდა იდგეს მშრალ, დაცულ ადგილას. ტემპერატურა უნდა იყოს 10-40 გრადუსის შუალედში. აკუმულატორების და ინვერტორის მუშაობის გახანგრძლივების მიზნით, შეეცადეთ რომ ტემპერატურა იყოს 20-25 გრადუსის შუალედში!

ნებისმიერი ტექნიკური სამუშაოების ჩატარების დროს, ინვერტორის შესაბამისი დამცველი უნდა იყოს გათიშული! არ ჩაატაროთ თვითნებური სამუშაოები მომწოდებელთან შეთანხმების გარეშე, რადგანაც შეიძლება გაუქმდეს საგარანტიო პირობები!

საჭიროების შემთხვევაში დარეკეთ მომწოდებელი კომპანიის UGT ცხელი ხაზის ნომერზე

**ცხელი ხაზი:
032 2 220 211**

APPENDIX 5: PRESENTATION ON MANUAL OF SOLAR PV SYSTEMS



ქსელისგან დამოუკიდებელი მზის ფოტოელექტრული სისტემა

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო



ელექტრული ქსელისგან დამოუკიდებლობა

როდესაც გაქვთ მზის ფოტოელექტრო სისტემა და არ ხართ მიერთებული ელექტროენერჯის ერთიან ეროვნულ ქსელთან ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ ფლობთ საკუთარ მიკრო ენერგოკომპანიას.

და ჩვეულებრივი ელ.ენერჯის მოხმარებელისგან განსხვავებით გიჩნდებათ დამატებითი ვალდებულება დაგეგმოთ საკუთარი ელ.მომარაგება-მოხმარების პროცესიც.

ელექტრო ენერჯის გამომუშავება-მოხმარების სწორ დაგეგმვაზეა დამოკიდებული საკუთარი საჭიროების საიმედო და გრძელვადიანი დაკმაყოფილება

ელექტრული ქსელისგან დამოუკიდებლობა


ავტონომიური მზის მიკრო ელ.სადგურით ელ მომარაგების დაგეგმა კი პირველ რიგში ნიშნავს მზის სისტემის ფუნქციონირების შესახებ ზოგადი ინფორმაციის ფლობას და საკუთარი ელ.მოხმარების ხასიათის მორგებას მზის სისტემის მახასიათებლებთან

ქსელისგან დამოუკიდებელი მზის ელექტროსადგურის მოხმარების პრინციპი



მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო


მზის აქტიური / პიკური საათები



რამდენი ენერჯია მჭირდება?

იმის განსაზღვრა, რამდენი ენერჯია უნდა გამოიმუშაოს თქვენმა მზის ფოტოელექტრულმა სისტემამ ქსელის გარეშე ცხოვრებისთვის, ანალოგიურია ქსელთან მიერთებული მზის სისტემის ზომის განსაზღვრისა, იმ განსხვავებით, რომ მისი გამოყენებისთვის არასოდეს მოგვივა ენერჯიის გადასახადის ქვითარი. ასე რომ, პირველი ნაბიჯია - შეადგინოთ სია იმ მოწყობილობებისა, რომელთა გამოყენებასაც აპირებთ. უბრალოდ გახსოვდეთ, რომ რაც მეტ ენერჯიას გამოიყენებთ, მით მეტი ენერჯია უნდა აწარმოოთ.

უფრო ზუსტი რომ იყოთ, შეიძლება ნახოთ ეტიკეტი სიმძლავრის მითითებით ყოველ მოწყობილობაზე ან მის ნაწილზე, შემდეგ შეაფასოთ, რა დროით გამოიყენებთ მას დღის განმავლობაში, შემდეგ კი გადაიანგარიშოთ.



თქვენი აკუმულატორების მოცულობა/ტევადობაა 9600ვტ.სთ ანუ 9,6 კვტ.სთ.

აქედან აკუმულატორების ხანგრძლივი გამართული მუშაობისთვის თქვენს (აკუმულატორის საექსპლუატაციო ინსტრუქციის მიხედვით) განკარგულებაშია მხოლოდ ამ ენერჯის 50% ანუ 4,8კვტ.სთ

ზემოთ მოცემული მოწყობილობებიდან:

- სარეცხი მანქანა ერთ ციკლში მოიხმარს 0.96კვტ.სთ ენერჯიას
- უთო 1500ვტ.სთ ანუ 1,5 კვტ.სთ
- ერთი დიოდური ნათურა მოიხმარს 10 ვტ.სთ ენერჯიას ანუ 0.01კვტ.სთ.
- ერთ ტელევიზორი 300ვტ.სთ-ს ანუ 0.3 კვტ.სთ-ს.
- მცირე ზომის მაგივარის კომპრესორი საათში მოიხმარს 130 ვტ.სთ ენერჯიას ანუ 0,13 კვტ.სთ. თუმცა გასათვალსიწინებელია, რომ 24 საათის განმავლობაში ჩართულია არაუმეტეს 8 სთ-განმავლობაში.

ენერგომოხმარების დაგეგმვის გამარტივებული მაგალითი

გავნვსაზღვროთ სრულად დამუხტული აკუმულატორის პირობებში სარეცხვის რეცხვის შემდეგ და 1,5 სთ- უთოს გამოყენების შემდეგ როდესაც, დღე-ღამეში 3 ნათურა ანთია 10 სთ-ს განმავლობაში, რამდენ ენერგიას მოვიხმართ დღე-ღამეში და რამდენი ე.წ. სასარგებლო ენერგია რჩება აკუმულატორსულ ბატარიაში?

რამდენ ხანს შევძლებთ ნარჩენი სასარგებლო ენერგიით მაგ. ტელევიზორის ყურებას ისე, რომ აკუმულატორები არ დავაზიანოთ?

გამარტივებული გაანგარიშების მაგალითი

ენერგია აკუმულატორში	სასარგებლო ენერგია	სარეცხი მანქანა	უთო	მაცივარი	ნათურა	სულ მოხმარებული ენერგია	დარჩენილი სასარგებლო ენერგია	ტელევიზორის დადგმული სიმძლავრე ანუ თვის საჭირო ენერგია 1სთ-ში	ტელევიზორის მუშაობის დრო
კვტ.სთ	კვტ.სთ	კვტ.სთ	კვტ.სთ	კვტ.სთ	კვტ.სთ	კვტ.სთ	კვტ.სთ	კვტ.სთ	სთ
9.6	4.8	0.96	2.25	1.04	0.3	4.55	0.25	0.3	1


სასარგებლო ენერგია არის კუმულატორიში არსებული ენერგიის 50% ანუ 4,8 კვტ.სთ უთოს მიერ მოხმარებული ენერგია: 1,5 კვტ.სთ X 1,5 სთ = 2,25 კვტ.სთ
 მაცივრის მიერ მოხმარებული ენერგია: 0.13 კვტ.სთ X 8 სთ = 1,04 კვტ.სთ
 ნათურების მიერ მოხმარებული ენერგია: 3 ნათურა X 0,1 კვტ.სთ X 10 სთ = 0,3 კვტ.სთ
 ნარჩენი ენერგია შეადგენს 0,25 კვტ.სთ-ს
 რაც ტელევიზორის 1სთ.-მდე მუშაობის საშალებას მოგცემთ.

გასათვალისწინებელია რომ მეორე დღეს მზის აქტივობამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს აკუმულატორების დამუხტვა და შეიძლება ელ.ენერგიის მოხმარების მინიმუმამდე შემცირება ან სრული შეზღუდვა მოგიწიოთ!!!

სისტემის კომპონენტები:

- **მზის პანელი** (გარდაქმნის მზის ენერჯიას ელექტრულ ენერჯიად) – 4 ცალი LG-ს წარმოების მზის პანელი
- **აკუმულატორის დამუშავის კონტროლერი და ინვერტორი** - UTL წარმოების მოწყობილობა (შემდგომში „ინვერტორი“) - 1 ცალი
- **აკუმულატორები** - 4 ცალი Ritar Power-ის წარმოების 200 ამპერსათიანი 12 ვოლტიანი აკუმულატორი (ტყვიის აკუმულატორი ჟელეს ტექნოლოგიით)
- მზის პანელებიდან მომავალი კვების კაბელები - **წითელი** და შავი - ე.წ. „სოლარ“ კაბელი - (მზის პანელებიდან მიაწვდის ელექტროენერჯიას „ინვერტორს“)
- მზის პანელების სამაგრი ლითონის კონსტრუქცია
- დამიწების კაბელი (**ლურჯი**) - გამოიყენება ინვერტორის დასამიწებლად მზის პანელების სამაგრ ლითონის კონსტრუქციაზე
- ლითონის კარადა - **მწვანე** ფერის რომელშიც განთავსდება აკუმულატორები და ინვერტორი. ადევს “UGT” ნიშნიანი ლუქი
- შიდა ქსელის დამცველი - განლაგებულია ინვერტორისა და შიდა ქსელს შორის

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო



რა შეიძლება ჩაერთოს მზის სისტემაში ფაქტიურად შეუზღუდავად, მაგრამ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში

საშუალო მოცულობის თანამედროვე ეკონომიური მაცივარი



თხელეკრანიანი ტელევიზორი



ლექტობი



ელ.საპარსი



ელემენტების დამტენი



შუქდიოდური ნათურები



მობილურის დამტენი

რა შეიძლება ჩაერთოს მზის სისტემაში მცირე დროის (1-2 სთ-მდე) განმავლობაში: რეკომენდირებულია შუადღისას, როდესაც მზე აქტიურ ფაზაშია და აკუმულატორები დატვირთული

მცირე მტვერსასრუტი (800 ვატამდე)



მცირე სიმძლავრის სარეცხი მანქანა, რომელსაც არ აქვს წყლის გაცხელების ფუნქცია

მცირე სიმძლავრის ელექტრობურდი ან მსგავსი ელ.ხელსაწყოები



მცირე სიმძლავრის ვენტილატორი



კინესკოპიანი ტელევიზორი



კინესკოპიანი კომპიუტერი



ნაკლებ მძლავრი უთო

სასურველია თავიდან ავირიდოთ ამ მოწყობილობებიდან ორი ან მეტის ერთდროული მუშაობა მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

რა არ უნდა ჩართოთ მზის სისტემაში:

 გამათბობელი	უთო 	ელექტრო ჩაიდან 	კონდინციონერი 
მეღვინის „სვარკის“ აპარატი 	მძლავრი სარჩილავი 	მძლავრი მტვერსასრუტი 	თმის საშრობი 
მიკრო ტალღოვანი ღუმელი 	სარეცხი მანქანა, რომელსაც აქვს წყლის გაცხელების ფუნქცია 	პერფორატორი 	

და სხვა მძლავრი ელ მოწყობილობები

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

სისტემის მუშაობის ძირითადი პრინციპი

მზის პანელების მიერ გამომუშავებული მუდმივი დენი გარდაიქმნება **220 ვ.** საყოფაცხოვრებო (ცვლად) დენად **ინვერტორის** მიერ და მიეწოდება **შიდა ქსელს**. მზის პანელების მიერ გამომუშავებული ჭარბი ენერგია კი გროვდება **აკუმულატორებში**.

აკუმულატორები მაქსიმალურად იმუნტება მზიან, უდრუბლო ამინდში. ნაკლებად იმუნტება ცუდ ამინდში. დამე - მთვარის ან ვარსკვლავების შუქზე აკუმულატორები არ იტენება.

რაც უფრო მეტი ენერგიას მოიხმარეთ მზის ატიურ ფაზაში, მით უფრო ნაკლები რჩება აკუმულატორების დასატენად.

სისტემას არანაირი განსაკუთრებული მომსახურება არ ჭირდება - მანამ მზე არის ცაზე, ელექტროენერგია გამომუშავდება, ბნელ დროს კი ენერგიის წყარო არის აკუმულატორი.

აკუმულატორში ენერგიის გამოლევის, აკუმულატორის განმუხტვის, შემდეგ სისტემა გაითიშება და არ ჩაირთვება მანამ, სანამ პანელებს არ დაეცემა მზის სინათლე.

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

ინვერტორის წინა პანელის ნათურების აღწერილობა



SYSTEM ON – ინვერტორი არის „აქტიურ“ რეჟიმში.

INV ON – როცა დილაკი ანთია ხდება მზის ან აკუმულატორებიდან მიღებული ენერჯის გარდაქმნა 220 ვოლტად და მიწოდება ქსელში.

SPV CHG - ხდება მზის პანელების მიერ აკუმულატორების დამუხტვა.

BATT - ციმციმებს -აკუმულატორი განმუხტულია

როცა **SYSTEM ON** გამორთულია მაგრამ ეკრანი ანთია ინვერტორი არის „პასიურ“ რეჟიმში. „აქტიურ“ და „პასიურ“ რეჟიმებს შორის გადართვა ხდება დილაკით RESET. აკუმულატორის დამუხტვა ხდება „პასიურ“ რეჟიმშიც.

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო


ინვერტორის წინა პანელის ნათურების აღწერილობა



- **GRD CHG.** – ხდება გენერატორიდან აკუმულატორების დამუხტვა
- **BATT** - აკუმულატორების სტატუსი - (ციმციმებს - განმუხტულია, მუდმივად ანთია - ზედმეტად დამუხტულია)
- **OVER** - ზედმეტი (ციმციმებს - სისტემა გადახურდა, მუდმივად ანთია - გადატვირთულია)
- **MAINS** - გარე ქსელი/გენერატორი
(ციმციმებს - სიხშირე სცდება ნორმას, მუდმივად ანთია - ძაბვა სცდება ნორმას)
- **FAULT** - პრობლემა (მაგ. მოკლე ჩართვა)
- **MPPT OVERHEAT** - აკუმულატორის დამტენის გადახურება

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

ინვერტორის უკანა კედლის სურათი



მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო


სისტემის მუშაობის აღწერილობა

- ძლიერი მზის და მიღებული ენერჯიის შესაბამისი მოხმარების დროს სისტემას მუშაობას არანაირი ჩარევა არ სჭირდება. ამ დროს ინვერტორი უნდა იყოს „აქტიურ“ რეჟიმში - უნდა ენთოს ნათურა **SYSTEM ON**.
- **მზის პანელების** მიერ გამოთქმული მუდმივი დენი გარდაიქმნება **220 ვ.** საყოფაცხოვრებო (ცვლად) დენად **ინვერტორის** მიერ და მიეწოდება **შიდა ქსელს**. ჭარბი ენერჯია კი გროვდება **აკუმულატორებში**. რაც უფრო მეტი ენერჯიას მოიხმარეთ მზის აქტიურ ფაზაში, მით უფრო ნაკლები რჩება აკუმულატორების დასატენად. როცა მზის ენერჯია არ არის საკმარისი, 220 ვ გამოთქმავება აკუმულატორებში შენახული ენერჯიიდან.
- პანელები მიერ მაქსიმალური ენერჯია გამოთქმავდება მზიან, უღრუბლო ამინდში. მოღრუბლულ ამინდში პანელების მინიმალურ ენერჯიას იძლევა.
- აკუმულატორების გარკვეულ დონეზე დაბლა განმუხტვისას - **თუ ციმციმებს ნათურა BATT** ინვერტორი აღარ გამოიმუშავებს 220 ვოლტს დენს. ასეთ შემთხვევაში უნდა ვაცალოთ აკუმულატორებს დამუხტვა.

თუ აკუმულატორები არ მიიღებენ ენერჯიას ისინი განაგრძობენ განმუხტვას და შეიძლება ისეთ დონეზე განიმუხტონ რომ ინვერტორმა ვერ მოახერხოს თუნდაც „პასიურ“ რეჟიმში ხელახლა ჩართვა ძლიერი მზის პირობებშიც. ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება გარე ჩარევა


მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

სისტემის პარამეტრების შემოწმება ინვერტორის პანელის მეშვეობით

სისტემის პანელზე პარამეტრების ჩამონათვალი რიგრიგობით იცვლება. იმისთვის რომ ავტომატური ცვლილება შევწყვიტოთ, უნდა დავაჭიროთ ღილაკს  ამის შემდეგ ზემოთ / ქვემოთ ისრებით შეიძლება სხვადასხვა პარამეტრებს გამოვყანა


აკუმულატორის დამუხტვის დონე  მუშა რეჟიმი

აკუმულატორების ძაბვა
 აკუმულატორების დამუხტვის დენი
 აკუმულატორების განმუხტვის დენი

BATTERY		15:31:50
57.9V		DISCHG
+0.0A		0.09KWH
-1.0A		0.5KWH

დრო
 მუშა რეჟიმი - Discharge - განმუხტვა

გამომავალი ძაბვა


OUTPUT		15:31:57
220V	0.0A	50Hz
	100W	
	1.9KWH	

გამომავალი სიხშირე
 დატვირთვის სიმძლავრე
 მოხმარებული ენერჯია

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო


სისტემის პარამეტრების შემოწმება ინვერტორის პანელის მეშვეობით

გარე ქსელის / გენერატორის შემავალი ძაბვა

GRID		15:31:57
220V	0.0A	50Hz
	0.0W	
	0.9KWH	

გარე ქსელის / გენერატორის სიხშირე

მზის პანელებიდან შემომავალი ძაბვა

SOLAR		15:31:57
140V	0.0W	0.0A
	0.8 KWH	

მზის პანელებიდან შემომავალი დენი

STATUS		15:31:57
GRD CHRGR OF - MAINS_L		
INVERTER OFF		
SOL CHRGR OFF - PV LO		

გარე ძაბვა არ მიწოდება - MAINS_L
 ინვერტორი - ჩართული (ON) /
 გამორთული OFF
 მზის პანელიდან დამუხტვა - გამორთული -
 დაბალი ძბვა (OFF - PV LO)

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

სისტემის მოხმარებისას გაითვალისწინეთ !

- თუ 1-2 დღის განმავლობაში აკუმულატორები სრულფასოვნად არ იმუხტება - დღის განმავლობაში მუდმივად არ ანთია ნათურა **SPV CHG** , გადაიყვანეთ ინვერტორი „პასიურ“ რეჟიმში.
- თუ **SPV. CHG** რამდენიმე დღე საერთოდ არ ინთება დარეკეთ სერვის ცენტრში, ან თუ ვერ რეკავთ გათიშეთ ინვერტორის უკანა კედელზე მდებარე ორმაგი დამცველით. არ მიიყვანოთ აკუმულატორები სრულ განმუხტვამდე.
- გაწმინდეთ მზის პანელები. მოაცილეთ ფოთლები, მტვერი, ტალახი ან თოვლი. ტალახის შემთხვევაში გადარეცხეთ პანელები წყლით და ჯოხზე დამაგრებული ნაჭრით ფაქიზად გაწმინდეთ. გადმოყარეთ პანელზე დაყრილი თოვლი.
- შეეცადეთ რომ აკუმულატორების ძაბვა იყოს 48 – 51.5 ვოლტის შუალედში.
- ინვერტორი უნდა იდგეს მშრალ დაცულ ადგილას გარემო ტემპერატურა უნდა იყოს 10-40 გრადუსის შუალედში. აკუმულატორების და ინვერტორის მუშაობის გახანგრძლივების მიზნით შეეცადეთ რომ ტემპერატურა იყოს 20-25 გრადუსის შუალედში.

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

იზრუნეთ უსაფრთხოებაზე!

- 4 მზის პანელები ჯამში გამოიმუშავენ მაღალ ძაბვას (200 ვოლტს). ამიტომ საჭიროა რომ მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ პანელებიდან მომავალი კაბელი არ დაზიანდეს და მასთან ვინმეს არ ჰქონდეს წვდომა.
- თუ შავი ან **წითელი** კაბელი ინვერტორს მოწყდა სასწრაფოდ გათიშეთ მზის პანელები სადენიდან პანელის კონექტორების ჩახსნის საშუალებით.
- მიაქციეთ ყურადღება რომ რკინის კონსტრუქციას არ მოძვრეს ან დაზიანდეს დამიწების **ლურჯი** კაბელი. ინვერტორი უნდა იყოს მუდამ დამიწებული.

დამოუკიდებლად არ ახსნათ ლუქი ყუთს და არ ცადოთ ინვერტორის შეერთების შეცვლა ან ინვერტორის დაშლა. ასევე არ ცადოთ ინვერტორის კონფიგურაციის დამოუკიდებლად შეცვლა. გაითვალისწინეთ რომ ორივე ასეთ შემთხვევაში გარანტიის მოქმედება შეწყდება

სერვის ცენტრის ტელეფონი: 032 2 220 211

მუშაობს 10:00 – 18:00 საათამდე

მოსალოდნელი პრობლემების მოგვარება: სახლის შიდა ქსელში დენი არ არის



1. ანთია მწვანე ნათურა **SYSTEM ON**, ანთია **INV. ON**, არ ანთია ან ციმციმებს წითელი ნათურები.

სავარაუდოდ ინვერტორი მუშაობს გამართულად და პრობლემა შიდა ქსელშია შეამოწმეთ შიდა ქსელის დამცველი (როგორც წესი დამაგრებულია კედელზე) ან შიდა ქსელის გაყვანილობა.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ინვერტორის უკანა მხარეს წითელი ფერის გადამრთველი იყოს მარცხენა, „1“ მდგომარეობაში!

2. ჩამქრალია მწვანე ნათურა **SYSTEM ON**, ეკრანი ანთია, წითელი ნათურები არ ანთია და არ ციმციმებს

ინვერტორი არის „პასიურ“ რეჟიმში გადაიყვანეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში.

მოსალოდნელი პრობლემების მოგვარება: სახლის შიდა ქსელში დენი არ არის




3. ციმციმებს წითელი ნათურა **BATT**

განმუხტულია აკუმულატორები:
აცალეთ დამუხტვა აკუმულატორს. თუ ანთია ნათურა **SYSTEM ON** (ინვერტორი არის „აქტიურ“ რეჟიმში) სასურველია აკუმულატორების დამუხტვამდე ინვერტორი გადაიყვანოთ

4. ჩამქრალია მწვანე ნათურა **SYSTEM ON** და ეკრანი ჩამქრალია

ინვერტორი გამორთულია შეამოწმეთ აკუმულატორის დამცველი: თუ არის ქვედა (OFF) მდგომარეობაში გადაიყვანეთ ზედა (ON) მდგომარეობაში.



მოსალოდნელი პრობლემების მოგვარება:
სახლის შიდა ქსელში დენი არ არის



5. ეკრანი ჩამქრალია ან ირთვება და იქვე ქრება, აკუმულატორის დამცველი ზედა (ON) მდგომარეობაშია

სავარაუდოდ აკუმულატორებია ძალიან განმუხტული


საჭიროა აკუმულატორების დამუხტვა.

როცა ინვერტორი ვერ ირთვება „პასიურ“ რეჟიმში ის ვერ დამუხტავს აკუმულატორს ვერც მზის პანელებიდან და ვერც გარე გენერატორის გამოყენებით.

ასევე შეიძლება დაზიანებული იყოს ინვერტორი.

დარეკეთ სერვის ცენტრში!

მოსალოდნელი პრობლემების მოგვარება:
მზის პანელები ვერ მუხტავს აკუმულატორებს



1. მზის პანელები ვერ მუხტავს აკუმულატორებს - დღის განმავლობაში საერთოდ არ ირთება ნათურა SPV. CHG. კაშკაშა მზეა და მას არაფერი ფარავს.

შეამოწმეთ არის თუ არა ინვერტორის ეკრანზე SOLAR რეჟიმში 0 ისგან განსხვავებულ ძაბვა. თუ SOLAR ძაბვა ნოლია სავარაუდოდ დაზიანებული პანელების გაყვანილობა, კონექტორები ან თვით პანელები

2. დღის განმავლობაში პერიოდულად ირთება და ქრება ნათურა SPV. CHG, ეკრანზე SOLAR ძაბვა ძლიერ მერყეობს.

მიზეზი არის პანელის დაბალი გაუნათებლობა ან პანელზე ეცემა ჩრდილი. გამოაჩინეთ მზე, თუ საჭირო მოჭერით ხის ტოტები. გადავწმინდეთ თუ დამტვერილი ან დათოვლილია

მოსალოდნელი პრობლემების მოგვარება:

მზის პანელები ვერ მუშავენს აკუმულატორებს

3. დღის განმავლობაში აკუმულატორები იმუხტება, გარკვეული დრო მუდმივად ანთია SPV. CHG მაგრამ მუხტი დიდხანს არ ყოფნის - მალე იწყებს ციმციმს ნათურა BATT

მიზეზი 1: აკუმულატორების მიერ მზიდან პანელებიდან მიღებული ენერჯია ნაკლებია ვიდრე აკუმულატორების მიერ შიდა ქსელში მიწოდებული ენერჯია. ამიტომ აკუმულატორი თანდათანობით განიმუხტება

ა) შეეცადეთ პანელებმა მიიღონ მაქსიმალურ განათება.

ბ) გადაიყვანეთ ხოლმე ინვერტორი „პასიურ“ რეჟიმში. „პასიურ“ რეჟიმში ინვერტორი შიდა მიზნებისთვის მოიხმარს ბევრად ნაკლებ ენერჯიას ვიდრე „აქტიურ“ რეჟიმში.

მიზეზი 2: აკუმულატორი ვერ ინახავს საკმარის ენერჯიას - მისი ტევადობა შემცირებულია

ამის მიზეზი შეიძლება იყოს 1) აკუმულატორის ზედმეტად მაღალი ან დაბლი (უარყოფითი) ტემპერატურა 2) აკუმულატორის დაზიანება

მოსალოდნელი პრობლემების მოგვარება:

ანთია წითელი ნათურები

ნათურა BATT - განუწყვეტილად ანთია - აკუმულატორების ძაბვა ნორმაზე მაღალია გამორთეთ ინვერტორი აკუმულატორის დამცველით და დარეკეთ სერვის ცენტრში.

ციმციმებს ნათურა OVER - ინვერტორი გადახურებულია .
სავარაუდოდ სათავსოში არის მაღალი ტემპერატურა. გაანიავეთ სათავსო.

ნათურა OVER მუდმივად ანთია - სისტემა გადატვირთულია
გათიშეთ ჩართული მოწყობილობების ნაწილი რომ შეამციროთ დატვირთვა

MPPT Overheat - აკუმულატორების დამტენი გადახურდა - დარეკეთ სერვის ცენტრში

ეკრანზე წერია EQUALOZE MODE - 5-6 წამით დააჭირეთ ღილაკს RESET

ანთია ნათურა FAULT მოკლე ჩართვა ან სხვა პრობლემა

მოსალოდნელი პრობლემების მოგვარება:

მოკლე ჩართვა

მოკლე ჩართვის დროს (როცა ხდება შიდა ქსელში სადენების დამოკლება) ინვერტორი წყვეტს ძაბვის მიწოდებას და ინვერტორზე იწებება ნათურა „FAULT“

თუ მოკლე ჩართვის მიზეზი გაქრა ინვერტორი მუშაობა აღდგება 10 წამის შემდეგ. თუ ამ დროის განმავლობაში მოკლე ჩართვა ისევ არსებობს მაშინ ინვერტორის მუშაობა არ აღდგება. ასეთ შემთხვევაში:

- 1) **გამორთეთ შიდა ქსელის გამთიშველი დამცველი.**
- 2) გადაიყვანეთ ინვერტორი „პასიურ“ რეჟიმში დილაკით RESET-ზე 1-2 წამით დაჭრით ან თუ ნათურა **FAULT** არ ჩაქრა გამორთეთ ინვერტორი აკუმულატორების დამცველის საშუალებით ინვერტორის უკანა მხარეს.
- 3) აცალეთ რამდენიმე წამი რომ ინვერტორის ეკრანი ჩაქრეს და ხელახლა ჩართეთ. თუ ნათურა **FAULT** ჩაქრა დილაკი RESET-ით გადაიყვანეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში დილაკი RESET-ზე 1-2 წამით დაჭრით.
- 1) თუ შიდა ქსელის გათიშვის მიუხედავად **FAULT** ისევ გაჩნდა, სავარაუდოდ ინვერტორია დაზიანებული და დარეკეთ სერვის ცენტრში.
- 2) თუ **FAULT** ჩამქრალია უსაფრთხოებისთვის გადაიყვანეთ ინვერტორი „პასიურ“ რეჟიმში (**SYSTEM ON** უნდა ჩაქრეს) . იპოვეთ შიდა ქსელში მოკლე ჩართვის მიზეზი და გამოსწორეთ პრობლემა.
- 3) ჩართეთ შიდა ქსელის დამცველი და გადაიყვანეთ ინვერტორი „აქტიურ“ რეჟიმში.

გენერატორის / გარე წრედის ჩართვა

- იმ შემთხვევაში თუ გაქვთ ელექტრო გენერატორი ან სხვა გარე კვების წყარო (მიკრო ჰიდრო ელექტროსადგური) რეკომენდებულია გენერატორის ჩართვა შიდა ქსელში ინვერტორის გავლით.
- გენერატორიდან / გარე წრედიდან სადენები უერთდება ინვერტორს უკანა მხრიდან კონტაქტებზე „ გარე ქსელის ინ გენერატორის მიერთება“ – (GRID CONNECTION).
- გენერატორის კვების გათიშვა შეიძლება ინვერტორის უკანა კედელზე მარცხენა მხარეს განლაგებული დამცველის საშუალებით.
- გენერატორის ჩართვის დროს სასურველია მოხდეს გენერატორის დამიწება - მიერთება ინვერტორის დამიწების კონტაქტზე.
- თუ გენერატორს აქვს გამოსავალზე აღნიშვნები - ფაზა და ნოლი - უნდა იყოს შესაბამისად მიერთებული ინვერტორის ფაზა (L) და ნოლის (N) კონტაქტებზე.
- სამუშაოების დროს ინვერტორის შესაბამისი დამცველი უნდა აიყოს გათიშული!

არ ჩაატაროთ სამუშაოები მომწოდებელთან შეთანხმების გარეშე, რადგანაც შეიძლება გაუქმდეს გარანტიის პირობები!

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

გმადლობთ !

USAID ენერჯეტიკის
პროგრამა
ი.ჭავჭავაძის 29,
თბილისი, 0179
ტელ: +995 595062505

UGT
ი.ჭავჭავაძის 17ა,
თბილისი, 0179,
თბილისი
ტელ: +995 32 2220505
www.ugt.ge

ენერჯო ეფექტურობის
ცენტრი
დ. გამრეკელის 19,
თბილისი, 0160
ტელ: + 995 32
2242540; 2242541
eecgeo@eecgeo.org
www.eecgeo.org

მზის სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

USAID Energy Program

Deloitte Consulting Overseas Projects LLP

Address: 29 I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia

Phone: +(995) 595 062505

E-mail: info@uep.ge